# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 56
წელიწადი მეორე
1913
ხუთშაბათი 16 მაისი
მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.

ტელეფონი № 149.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაჭრეულობისა და ჭურჭლეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში.

## ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

ახსნა სპეციალური განყოფილება ელექტრონის მოსაწყობი მასალების და არმატურებისა, რაც ყოველთვის უმაღლესი ხარისხის მოგვეპოება ცნობილი ფირმებისაგან. აგრეთვე ვკისრულობ ... ავეჯით და ელექტრონის გასანათებელი მავთულების მოწყობას; ყოველთვის მოგვეპოება მსურველთათვის სპეციალისტი მონტიორები. ჩვენი მასალების ხარისხის სიკეთეს ჩვენ ვკისრულობთ. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

## იმერეთი

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . . 3 აბაზი.
და ცალკე ნომრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამ მანეთად.
**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგობით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.
გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოდ ამ მისამრთით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ. редакція газеты „ИМЕРЕТИ“ Василію М. Чепидзе.
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაკტორ-გამომცემელი გ ჭელიძე.


უმოწყალო და შეუბრალებელი სიკვდილისაგან დასჯილი და გულ დაჩაგრული უდროვოთ შვილების დამკარგველი დედა-მაკრინე ლორთქიფანიძისა აუწყებს ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ 19-ს ამა თვეს, დილით კვირას, არქიელის გორაზე, სასაფლაოს ეკლესიაზე, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მისი გადაცვალებული შვილებისა: მოსკოვის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის **იოსების**—სამი წლის სიკვდილის შესრულებისა; ასულის **თამარასის** ორი წლისა თავისა და **ვანიჩკასი** ერთი წლის თავისა.


## „ოქროს ვერძი“

ყოველკვირული სალიტერატურო და მხატვრული ჟურნალი „ოქროს ვერძი“ გამოვა კვირას 17 მაისს.
ჟურნალში მონაწილეობას ღებულობენ ყველა ჩვენი გამოჩენილი თანამედროვე მწერლები.
მიიღება ხელისმოწერა შემდეგ ფასებით:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | საზღვარგარეთ ერთი ორათ. |
| 5 მ. | 3 მ. | 1 15 | 10 შ. | |

ცალკე № 2 შაურათ.
რედაკტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

**მისამართი:**
...თაისი კაზაკოვის ქ. სახ. იაშვილისა.



ფარნა ბეჟანის მე გაბუნია

**ქუთაისი**

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ მე საპარტიო საწყობი ფართლეულობისა და რეზინის კალოშებისა

## გადავიტანე

საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქუჩაზე, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პირდაპირ.
მიღებულია დიდ ძალი საქონელი, ისყიდება პარტიით და წვრილათ.

პატივისცემით: **ფარნა ბ. გაბუნია.**



ქუთაისი.
პაევზე დამყარებული ამხანაგობა
კირაკოზოვი & ბ. გ. ოგანოვი.
გაზაფხულისა
და ზაფხულის სეზონი

ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩესუნჩა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

პოპლინი, მესალინი, ჟივრონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო“, პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.


# მიხეილის სათავად აზნაურო ბანკის

## ზედამხედველი კომიტეტი

წესდების 89 მუხლის ძალით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება მოხდება ბანკის ბინაზე ამა წლის 31 მაისს დილის 11 საათზე. თანახმად წესდების 89 მუხლის შენიშვნისა, კრება, რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს, კანონიერათ ჩაითვლება. განსახილველი საგნებია:

1. 1912 წლის ანგარიში ზედამხედველი კომიტეტის, ბანკის გამგეობის და დამფასებელი კომისიის მოხსენებით.
2. გამგეობის მოხსენება წესდების ზოგიერთ პარაგრაფის შეცვლის შესახებ
3. მოსამსახურეთა საპენსიო კასის 1912 წლის ანგარიში.
4. ზედამხედველი კომიტეტის და ბანკის გამგეობის შეერთებულ კრების მოხსენება. ოხსენება ეხება: ა) ბანკზე დარჩენილ მამულებს ბ) ს. თოფურიასეულ სახლის ბანკის შენობათ გადაკეთებას; გ) მოსამსახურეთა დაჯილდოვებას იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი სამსახურს სტოვებენ უპენსიოთ დ) დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზე დაარსებულ სტიპენდიის დანიშვნის წესრიგს და ე) მოსამსახურეთა შტატების დაარსებას.
5. ბანკის 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა

და 6. თანამდებობის პირთა არჩევანი, ნაცვლად გამგეობის თავჯდომარის თავ. მ. გ. ფაღავასი, გამგეობის წევრის, თავ. დ. ა. მიქელაძის, ზედამხედველი კომიტეტის წევრთა: თავ. ს. დ. წერეთელის და ვ. ი. ჭილაძის რომელთაც რიგით სამსახურის ვადა შეუსრულდათ და ერთის გამგეობის წევრის კანდიდატის თავისუფალ ადგილზე.


მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
**მ. ბალანჩივაძისა.**
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ ბიწითლეს, ნაყვავილებსა და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას. აგრეთვე უცრი ყვავილსაც.
გენერლის ქუჩა აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

**აქიმი ვ. ი. ფეშინი** ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოსპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

**აქიმი ი. ჩარექოვი**
აცხადებს რომ იგი აღარ ასრულებს სასანიტარო აქიმის თანამდებობას, რადგან დაინიშნა ქალაქის ახალი საავათმყოფოს **კანის და ვენერიულის განყოფილების მართველათ.**

**აქიმი** კ. თ. **ტყეშელაშვილი.**
ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.


## დღიური.

—:—

— ბულგარეთის ჯარის ერთი ნაწილი ბერძნების მიერ დაპყრობილ მიდამოში შევიდა, მათ წინაღმდეგ ბერძენთა ჯარი გამოვიდა და მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც მრავალი ჯარის კაცი დაიჭრა.

— ჟენევაში მყოფი ბერძენი სტუდენტები, რომელიც სამხედრო ბეგარის მოსახდელათ 1914-15 წელს უნდა გამოცხადებულიყვენ საჩქაროთ სამშობლოში დაიბარეს.

— სოფიაში ხალხი ბევრს ლაპარაკობს სერბიელებისა და ბერძნების წინაღმდეგ. ხმა გავრცელდა და ყველა დარწმუნებულიცაა ომი მალე მოხდებაო.

— ვენას ალბანელთა ბელადი ისა ბოლეტინაცი მივიდა. იგი სერბიელების სასარგებლოთ აგიტაციას ეწევა.

— ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის აფიცერმა აბუკ—ფაშა ენვერბეის დატყვევების გამო დაჭრა.

— ჩატალჯში მდგომმა აფიცრებმა მიუგზავნეს და წინადადება მისცეს—სამსახურიდან გადადეგიო. მაჰმუდ შეფკეტ-ფაშა დათანხმდა მაგრამ ხონთქარმა მისი დათხოვნის ქაღალდი არ მიიღო.

— ცნობაა—ახალგაზდა ოსმალებმა ქიამილ-ფაშას სთხოვეს იკისრე სახელმწიფოს მართვა გამგეობაო.

— ინგლისის მეფემ სომეხთა დელეგაციის თავჯდომარე ინახულა და შეპირდა, ვეცდები ელჩთა თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სომეხთა საკითხსო.

— პარიზში სინდიკალისტები და რევოლუციონერები ჯარში მთავრობის საწინაღმდეგო აგიტაციისათვის დააპატიმრეს.

— სერბიის მინისტრ პრეზიდენტმა ყველა პარტიის ლიდერები მიიწვია ბულგარეთ-სერბიის უთანხმოების შესახებ მოსალაპარაკებლათ.

— პეტერბურგს ამერიკელთა დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ მიიღო. ამათ რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საფინანსო და საეკონომიო მდგომარეობა გააცნეს.

## ჩინეთი და იუანშიკაი.

—:—

როდესაც ჩინეთში რევოლიუციის ალმა იფეთქა და ჩინეთის თვალუწვდენი სივრცე მოძრაობისა და ამბოხების კვამლში გაეხვა, როდესაც ჩინეთის 400 მილიონმა ხალხმა, იმ ხალხმა, რომლის ბედისწერა თავგასული მოხელეების ხელში იმყოფებოდა, და რომელიც აუწერელს ტანჯვაწამებას უხმოთ და უსიტყვოთ იტანდა, ხმა ამოიღო და არსებული თვითნებობის მოშორებისა და გაქარწყლების სურვილი ხმამაღლა და გაბედულათ გაცხადა, ამ დროს მთელმა ევროპამ მოკრძალებით პირჯვარი გადაიწერა და განცვიფრებით წამოიძახა:—ხედავთ, სფინქსი ამეტყველდაო.

ჩინეთის უზარმაზარი სახელმწიფო მრავალი წლების განმავლობაში სდუმდა და ყოველივეს უსიტყვოთ იტანდა. ამ ათე-

ქვრივი ქრისტინე გიორგი ლევიძის ასული, როსტომ სტეფანესძე ქუთათელაძე, ვარდო ივანეს ასული ქუთათელაძისა; ნესტორ და აკაკი როსტომის ძენი ქუთათელაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის ძვირფასი მეუღლის მეორე საყვარელი შვილის, ხოლო უკანასკნელთ დაუვიწყარი ძმის

მელიტონ როსტომისძე

**ქუთათელაძის**

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხთება დღეს 16 მაისს ნაშვადღევის სამ საათზე. გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან. მესხეთის ქ. და წაასვენებენ ოლასკურის სასაფლაოზე.

ული წლის წინათ ჩინეთის შინაური საქმეები იდუმალების ბურუსით იყო მოცული და ის ტალღა, რომელმაც ასეთი ძლიერებით იხეთქა, მოულოდნელი და განმაცვიფრებელი იყო. სდუმდა ჩინე ი და ამ დუმილის გარშემო ათასგვარი ლეგენდები და მითები ითხზოდა. ყველა თავისებურათ ხსნიდა საიდუმლო შინაარსს ამ დუმილისას და აბა ვინ იფიქრებდა, რომ დუმილი იგი ენაზე უფრო მეტყველი შეიქნებოდა. აეხადა საიდუმლოების ფარდა ამ დუმილს, ჩამოწოლილი შავი ნისლი გაიფანტა და ჩვენს თვალს წარმოუდგა ერი ძლიერი არა მარტო თავის რიცხვით, სამშობლოსადმი სიყვარულით და თავისუფლებისადმი ტრფიალითაც. სუნიატსენის ერთი თითის გაქნევა საკმარისი გამოდგა, რომ მიდამოები მებრძოლი გმირებით ავსილიყო. მიზანსაც მალე მიაღწიეს—ჩინეთმა რესპუბლიკანური მართვა-გამგეობის სისტემა დააფუძნა.

დიდი ნიჭისა და მოხერხების პატრონი გამოდგა იმპერიის მინისტრ-პრეზიდენტი იუანშიკაი, რომელმაც პირველ ხანებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა რევოლიუციონერებს, მაგრამ დაატყო თუ არა, რომ ძალით მათ წინაალმდეგ ვერას გახდებოდა და აჯობებდა მორიგებით გაეთავებია საქმე, შეეცადა საქმისათვის მშვიდობიანი დაბოლოვება მიეცა, არც წვადი დაეწვა, არც შამფური და რევოლიუციონერთა გამარჯვების კოლონზე პირველს მას მოეთბო ხელი. მისი ასეთი ცხადი გამარჯვებით დაგვირგვინდა, [illegible] და ახლად აღმოცენებულ-აღორძინებულ რესპუბლიკას სათავეში იუანშიკაი ჩაუდგა. დამფუძნებელი კრება სიამოვნებით შეხვდა იუანშიკაის კანდიდატურას და რევოლიუციონერთა ლიდერები და მათშორის სუნიატსენი იუანშიკაიში ხედავდენ იმ ძლიერ ძალის პატრონ კაცს, რომელსაც გონების ძალასთან ერთად ნების ძალაც ახლავს და რომელიც შეიძლებდა ჩინეთის ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას. თუმცა იუანშიკაის გულწრფელობას ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა, მაგრამ უმრავლესობა იმის მხარეზე იყო და აბა თითო ოროლა ადამიანი რას გააწყობდა. პირველ ხანებში ახალი პრეზიდენტი თითქო კვალდაკვალ სდევდა ხალხის ნება-სურვილს, მაგრამ გავიდა ჟამი, დრონი იცვალენ და პრეზიდენტმაც ქერქი გამოიცვალა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო და უფრო ამაგრებდა იგი პირად პრესტიჟს და ბოლოს აშკარათ შეუდგა ძალის საკუთარ ხელში ჩაგდებას. ისეთი დიდი საქმის გადაწყვეტა და სისრულეში მოყვანა, როგორიცაა სახელმწიფოსთვის სესხის აღება, პრეზიდენტს თავისი ნებით არ შეუძლია, არა აქვს უფლება პირადი ინიციატივით გადაწყვიტოს ასეთი მნიშვნელოვანი საქმე. მან კი ზედა და ქვედა პალატების ჯერ დაუკითხავათ, მერე მოუწონებლათ ხუთ სამეფოსთან სესხის პირობა შეკრა. ამნაირათ პირველი და საგრძნობი ნაბიჯი იქნა იუანშიკაის მიერ საკონსტიტუციო ძირითადი დებულების დარღვევისკენ მიმართული. ცხადია, პრეზიდენტის ასეთ თვითნებობას ხალხი დამშვიდებით ვერ შეხვდებოდა და ასეც მოხდა. მთელი სამხრეთ ჩინეთი აჯანყებამ მოიცვა, ნაციონალისტებმა აშკარა და სასტიკი გმობა გამოუცხადეს იუანშიკაის ამნაირ მოქმედებას. ზედა პალატამ ხალხს მოწოდებით მიმართა, რომ პრეზიდენტის პოლიტიკას ბოიკოტით შეხვედროდენ და პროვინციებს სახელმწიფო გადასახადები პეკინის მთავრობისთვის აღარ მიეცათ. ამ მოწოდებამ ხალხზე დიდი გავლენა იქონია და შანხაიში გამართულ მიტინგზე, რომელსაც 60 ათასზე მეტი კაცი დაესწრო, ერთმა რესპუბლიკელმა საკუთარი ხელი გაიჭრა, სისხლი გამოსწურა და მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლიუციას შემდეგი დააწერა:

„ხალხმა უნდა დაგმოს სესხი, რომელიც პრეზიდენტმა ხალხის ნების გარეთ და დაუკითხავათ აიღოვო"... სამხრეთ ჩინეთს მხარი მისცა ჩრდილოეთ ჩინეთის პროვინციებმა და იუანშიკაისადმი მიმართულ პროტესტებს თვლა არ ქონდა. იუანშიკაი ხალხის ასეთ მოქმედებას არ დაუღბა, ხალხის სურვილის წინ ქედი არ მოიხარა და პირიქით, როგორც ჩინეთიდან მოსული ცნობებიდან სჩანს, უფრო სასტიკ რეპრესიულ ზომებს მიმართა ხალხის წინააღმდეგ. პეკინში სამხედრო წესები შემოიღო და სავალდებულო დადგენილება გამოსცა, რომლის ძალით ყოველგვარი რევოლიუციონური მოქმედება მკაცრი ზომებით დაისჯება. ამ ჟამათ მდგომარეობა დახლართულია, ყოველ დღე აუარებელ ნაციონალისტებს იჭერენ და სიკვდილით სჯიან იუანშიკაის ბრძანებით, ხალხის მუქარა და ბრაზიც თანდათან რთულდება და ძლიერდება და არიან ისეთებიც, რომელნიც ხელახალ აჯანყებას მოითხოვენ, რათა დემოკრატიული მოძრაობის მსვლელობას ყოველგვარი დამაბრკოლებელი მიზეზები ჩამოაშორონ. არ სცხრება იუანშიკაი—არ სცხრება ხალხიც. პრეზიდენტის მიერ გამეფებული რეპრესიები ხალხში უკმაყოფილების სულს ართულებს და აძლიერებს...

**იმერი.**

## ახალი ამბავი.

✦ ეს ერთი ხანია ქუთაისში დიდი მითქმა-მოთქმაა იმის გამო, რომ ქალაქის საავათმყოფოს გამგე აქიმათ მოიწვიეს ვინმე აქიმი ნემსაძე, რომელსაც თითქმის არავინ იცნობს ჩვენში. ქუთაისში, ღვთით, ძველი, გამოცდილი და ახალგაზდა სანდო და სახელ მოხვეჭილი აქიმებიც გვყავს და უკვირს ბევრს, რომ ყველას გვერდი აუხვიეს და უცნობი კაცი მოიწვიეს ასეთ. პასუხ-საგებ თანამდებობაზე...

ასეა თუ ისე—დროა, რაც შეიძლება მალე, მოშორდეს ქალაქის საავათმყოფო ძველ ბინას, უხერხულს, ბინძურსა და მოუწესრიგებელს.

✦ დღეს ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი სამრევლო შკოლების დასათვალიერებლათ მიემგზავრება ჩხარის საბლაღოჩინოში.

✦ ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა სთხოვს თავის წევრებს, ვისაც წაღებული აქვთ საწევრო წიგნაკები, ანგარიშისათვის დააბრუნონ ხვალინდელ მორიგ კრებაზე შავიქვის საბჭოში.

✦ ივნისის 16 ჭიათურაში დანიშნულია მრეწველთა კერძო თათბირი მთამადნების მუშებსა და მრეწველთა მოსამსახურეებს მონაწილეობით. თათბირზე განიხილება საკითხი მთამადნების მუშებისათვის საავათმყოფო კასის დაარსების შესახებ.

ამის შესახებ შავი ქვის მრეწველთა საბჭომ დააგზავნა განცხადებები და სთხოვს ყველა მრეწველთა თათბირში მონაწილეობა მიიღონ და მეზობელ მრეწველებთან შეთანხმებით **აირჩიონ ყოველ 200 მუშაზე და მოსამსახურეებზე თითო წარმომადგენელი.** არჩეულ მუშათა და მოსამსახურეთა სია საბჭოს უნდა წარმოუდგინონ არა უგვიანეს 25 მაისისა.

✦ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საავათმყოფოში მარტის განმავლობაში 911 ავათმყოფი წოლილა. თვის განმავლობაში დახარჯულა ავათმყოფობაზე 836 მ. 13 კ. ე. ი. დღიური ხარჯი თითო ავადმყოფზე 38½ კ.; თვიური ხარჯი მარტში საავათმყოფოსა, ავადმყოფებზე და მოსამსახურეებზე შეადგენს 1068 მ. 3 შ.

✦ ხვალ ჩვენს გაზეთში მოვათავსებთ იმ მოწოდების დედანს, რომელიც გაბრიელის სამკითხველოს კომიტეტს შეუდგენია საზოგადოების მიმართ. მოწოდებასთან ინჟ. ფრიკის მიერ შედგენილი პლანიც ახლავს იმ შენობისა, რომელიც მომავალი ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთვის უნდა აიგოს ფრანგების მოედანზე.

✦ ბათომში მოხდარმა კრებამ, რომელსაც განზრახული აქვს ბათომში დრამატიული საზოგადოების დაარსება, ამთავითვე 500 მანეთი გამოიღო ამ საქმის მოსაწყობათ. დამტკიცებისათანავე საზოგადოება მოქმედებას მიყოფს ხელს და განზრახვაა, სექტემბრიდან საკუთარი ანტრეპრიზა გაიჩინოს და ქართული წარმოდგენების სეზონი განაგრძოს.

✦ ბათომში ბ-ნ სარელს განზრახვა აქვს სექტემბრამდი „რკინის თეატრში" მართოს ქართული წარმოდგენები. იგი უკვე მოურიგდა თეატრის დირექციას.

✦ მსახიობი ვ. ბალანჩივაძე ამ მოკლე ხანში სამტრედიაში მართავს სალიტერატურო საღამოს. სალიტერატურო განყოფილების გარდა გაიმართება წარმოდგენაც.

✦ ჭიათურაში განზრახული საღამო, რომელიც ადგილობრივი დრამატიული საზოგადოების სასარგებლოთ უნდა გამართულიყო, 18 მაისისთვის გადაიდვა.

✦ როგორც გადმოქვცეს სოფ. ვარციხეს, სადაც სამი მდინარე ერთდება ყვირილა, ხანის წყალი და რიონი, უბედურება მოელით. დაწვრილებით ცნობებს ამ დღეებში მოგვაწვდის ჩვენი კორესპონდენტი პ. მიქელაძე.

✦ გუშინ ღამ დააკავეს გაზეთი „სიმართლის ხმის" რედაქტორ-გამომცემელი ბუაძე. გაზეთი დაიკეტა. მიზეზი ჯერ გამოურკვეველია.

✦ იაპონელების დასმა სამი პატარა პიესა წარმოადგინა სამშაბათს. სცენიდან გვესმოდა სხაპი-სხუპით საუბარი, ვხედავდით უცნაურ სისწრაფეს, თავისებურ, ჩვენთვის უცხო მიხვრა-მოხვრას. პატარა მსახიობი ქალი, ოტა ოთხი-ხუთი მტკაველი თუ გამოვა სიმაღლით. იგი, ეტყობა, ხნიერიც უნდა იყოს. მუსიკა და თამაში საუცხოვო იყო, საზოგადოთ ყველასი, განსაკუთრებით კი პატარა ცქრი- [illegible] ჟღურტულებდა, უკრავდა თავისებურ საკრავებზე და ცეკვავდა. თეატრი სავსე იყო.

### კოოპერაცია და სტუდენტობა.

(წერილი კიევიდან)

კოოპერატია—თავისუფალი კავშირი იმ პირთა, რომელთაც მიზნათ აქვსთ დასახული თავის წევრების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, საუკეთესო საშვალებაა მშრომელი ხალხის განსათავისუფლებლათ იმ დაბეჩავებისა და შევიწროებისაგან, რომელშიც იგი დღეს იმყოფება. ვისაც მშრომელი ხალხისთვის გული შესტკივა, ვისაც მშრომელ ხალხის ტანჯვა—წვალება თავის ტანჯვა—წვალებათ მიაჩნია და მათი კეთილდღეობა თავის კეთილდღეობათ, კოოპერაციის იდეას სიხარულით უნდა ითვისებდეს და მის გავრცელებას უნდა ცდილობდეს.

კოოპერაციის იდეამ ჩვენში უკვე შეაშუქა, იგი სიჩქარით იზრდება: საკრედიტო ამხანაგობანი სოკოებივით მრავლდება; რაც შეეხება მომხმარებელ საზოგადოებათ და კოოპერაციის სხვა ფორმებს მათი რიცხვიც შესამჩნევათ მატულობს. ეს დიდათ სასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ რაოდენობით სიმრავლეს არ ექნება თვისებითი ღირსება, თუ კოოპერაციის განვითარების საქმეში პრაქტიკასთან ერთად თეორიაც არ გავრცელდა. ჩვენში კი ეს ნაკლი ძალიან იჩენს თავს. მრავლდება სხვა—და—სხვა გვარი კოოპერატივები, მაგრამ თუ მათი წევრები ჯეროვნათ შეგნებული არ იქნებიან, თუ მათ ნათლად არ აქვსთ წარმოდგენილი კოოპერაციის მნიშვნელობა და მისი მიზანი ერთი სიტყვით, თუ მათ კოოპერატიული ცოდნა აკლიათ, აშკარაა ისინი დიდხანს ვერ იცოცხლებენ და სარგებლობის მაგიერ დიდი ვნების მოტანა შეუძლიათ, რადგანაც ხალხი დაშინდება და კოოპერაციის იდეას ახლოს აღარ გაიკარებს.

ასეთი მოსალოდნელი მდგომარეობის ასაცდენათ საჭიროა მასის მომზადება, საჭიროა კოოპერაციის იდეის ფართო პროპაგანდა—მშრომელი ხალხის კოოპერაციის იდეით გამსჭვალვა და ამ ნაირათ პრაქტიკასთან ერთად თეორიული ცოდნის გავრცელებაც. ჩვენ წინ ფართო სამოქმედო ასპარეზია და ამ ასპარეზზე ინტელიგენციასთან ერთად სტუდენტობამაც დიდი როლი უნდა აასრულოს.

კოოპერატიული მოძრაობა—ეს ახალი ძალაა, ახალი საქმე ეკონომიურ ცხოვრებაში, რომელსაც შეუძლია მშრომელი ხალხის ეკონომიურათ გამაგრება, მისი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება და ყოველ ახალს, დიდმნიშვნელოვანს საქმეს სტუდენტობა სათავეში უნდა ედგას და დაუღალავის ენერგიით უნდა ავრცელებდეს. სტუდენტობას, რომელიც საზაფხულო კანიკულებზე სხვა—და—სხვა დაბა—სოფლებში გაიფანტება, ბევრი შეუძლია გააკეთოს კოოპერაციის გავრცელების საქმეში, ქართველმა სტუდენტობამ უნდა წაბაძოს იტალიელ სტუდენტებს, რომელნიც კანიკულების დროს მოგზაური მასწავლებლების როლის ასრულებენ და ამ ნაირათ ავრცელებენ სასოფლო სამეურნეო ცოდნას და კოოპერატიულ იდეას. ყოველ შემთხვევაში ჩვენს სტუდენტობას არ ეპატიება უბრალო მაყურებლის როლი, მაშინ, როდესაც მოქმედებაა საჭირო, მოქმედება, რომელიც გამოიწვევს მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათს მომზადებას საუკეთესო მომავლისათვის.

გავიხსენოთ დიდებული მოაზრის ლ. ტოლსტოის შეხედულება კოოპერაციაზე. აი, რა აზრი გამოსთქვა მან თავის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში:—„საკოოპერაციო მოღვაწეობა," კოოპერატივების დაარსება, მათში მონაწილეობის მიღება ერთად ერთი საზოგადოებრივი მოღვაწეობაა, რომელშიც ჩვენს დროში შეუძლია ჩაებას ზნეობიანს, თავისი თავის პატივისმცემელ ადამიანს, რომელსაც არა სურს ძალადობაში მონაწილეობის მიღება. ჩვენს დროში ეს საუკეთესო მოღვაწეობაა, რომლის სამსახურის გაწევა შეუძლია ახალგაზრდობას, რომელთაც სურსთ ძალ—ღონის დახარჯვა, ხალხის სამსახური.

მივყვეთ დიდებული მოაზრის რჩევას, ენერგიით შევუდგეთ კოოპერაციის იდეის გავრცელებას, ნუ დავზოგავთ ძალ—ღონეს იმ მშრომელ ხალხისთვის, რომლის კეთილ დღეობაზეც მთელი ჩვენი ერის [illegible]

**ივ. ჩხარელი.**

### დაუვიწყარი ამხანაგის დათიკო წულუკიძის გარდაცვალების გამო.

არ შემიძლია, ჩემი სულიერი მდგომარეობა არ გავუზიარო ჩემს მეგობრებს და ამხანაგებს, და არ აღვიარო, რა გავლენაც იქონია ჩემზე დათიკოს სიკვდილმა. რაღაც დამნაშავეთ მიმაჩნია ჩემი თავი, რომ საწყალმა დათიკომ ამ პირობებში დალია მისი სპეტაკი სული.

რა ნაღვლიანი წარმოსადგენია ის გარემოება, რომ ადამიანმა, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში მისიანებზე აზრათ, თუ ფიქრობდა, რომელსაც მუდამ ის ქონდა რა სახით ეცა პატივი თავის მეგობრებისა და ამხანაგებისათვის, სული დალიოს ობლათ და გვერდით არ ყავდეს ისეთი კაცი, ვისაც ცოტათი მაინც გაეგო მისი უკანასკნელი სულის კვეთება! განა შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ დათიკო წულუკიძემ სული დალია სადღაც ქუჩაში, სულ უცხოს ხელში, როცა მას იმდენი თავისიანი ყავდა... რო გამახსენდება, გული მიწუხს და ვერ მომინელებია, როგორ დამემართა, რომ მე ის მარტო გაუშვი აქედან და ფოთამდი მაინც არ არ მივყევი! მაგრამ როგორ ვიფიქრებდი, რომ უსამართლო სიკვდილი მას ასე ცეცრად მოუღებდა ბოლოს. მართალია, ამ უკანასკნელ დროს, გულის ფიცრის ტკივილი რო მოუვლიდა, ძალიან აწუხებდა, მაგრამ მალე გადაუვლიდა და ისევ ის დათიკო იყო, რაც გინახავთ... იმ დღეს, ქუთაისში წამოსვლა რო გადაწყვიტა, სრულებით კარგათ გრძნობდა თავს და მის სიხარულს საზღვარი არ ქონდა, რომ ქუთაისში მიდიოდა...

დათიკომ ამ მცირე ხანში, სოხუმში საუკეთესო საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. ვერვის შეხვდებით, რომ სულითა და გულით არა სწუხდეს მის უდროვოთ დაკარგვას. და განა გასაკვირველია, რომ მან ასეთი სიყვარული დაიმსახურა? იგი ხომ წმინდა, წრფელი და ზღვა გულის ადამიანი იყო.

ძვირფასო დათიკო! მუხლს ვიდრეკ შენი სპეტაკი ცხედრის წინაშე... მიიღე ჩემი უგულითადესი მორჩილება და პატივისცემა. მაპატიე, [illegible] ადამიანო, თუ რამე დანაშაული მიმიძღვის შენს წინაშე!...

**ზონდო მიქელაძე.**

### ნ. ნიკოლაძის წიგნაკის გამო.

ნუ გაგიკვირდება, მკითხველო, თუ მე არა მწერალი, უბრალო მოკვდავი, ჩვენში და რუსეთშიც კარგათ ცნობილ ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ ვბედავ ხმის ამოღებას.

ეს იმით აიხსნება, რომ ნიკოლაძე არ არის ახლა ის ნიკოლაძე, რომელსაც შორიდან იცნობენ.

იმისთანა რამეებს კადრულობს, რომ შორიდან მაყურებელი არ დაიჯერებს. ამნაირს მის უკადრის საქციელს ვერც მე ავსცდი, რის გამოც იძულებული ვარ ხმა ამოვიღო. დრო იყო, მეც მოხიბლული ვყავდი ნიკოლაძეს. თუმცა მისი პოლიტიკური პროგრამა არაოდეს არ მომწონდა, მაგრამ, როგორც ქალაქის მოღვაწეს, ვაღმერთებდი. როდესაც ახლო გავიცანი საქმენი მისნი, სულ სხვა დავინახე და ვბედავ კიდეც. მხოლოდ გვიან არის კი. ფოთელების დიდი უმრავლესობა (სახეში მყავს ის ნაწილი ქალაქის მცხოვრებთა, რომელსაც არსებული საქალაქო წესდება უფლებას აძლევს ქალაქის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, დღესაც მოხიბლული ყავს; ან რა არის აქ გასაკვირი!? ის ნიკოლაძე, რომელიც „თვით ეშმაკსაც გააჭენებს" აბა, რისი ნიკოლაძეა, თუ ფოთელების უმრავლესობას (ცენზიანებს) ვერ მოხიბლავს და თავის გემოზე ვერ „აჭენებს"

რა დავუშავე მე ბ. ნიკოლაძეს, რომ ასე გადამეკიდა? აი, რისთვის მემტერება ის.

ა, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს არ დავუმალე ბ. ნიკოლაძეს პირში ვუთხარი, რომ ვემხრობი[illegible] ლი პარტიის კანდიდატს კ. აბაშიძეს თქო.

ბ. ამას შემდეგ ქალაქის საბჭოში იყო საკითხი ელევატორის გასაფართოებლათ ვითხოვოთ, მოვიგო(?) ის 400 ათასი მანეთი ხავ-სადგურის საფუძლო ბაქის ფუ ლი, რომელიც ხაზინაში უკვე დაგროვილიაო. მე ვამბობდი, ეს ელევატორი არ ვარგა რაც უნდა გაფართოვდეს თავის დროზე ვერ მიაწევს, უმჯობესია ახალი გაკეთდეს და მეტიც დაჯდესთქო, თუ როგორც წინათ მოვსტყუვდით, ისე მოგვივა ახლაც-თქო.

და გ, იონა მეუნარგიას რო აშენებენ, უსამართლოას ჩადიან-თქო.

ეს იყო და ეს. ამ შეცოდებათა გამო გადავიმტერე ბ. ნიკო, რომელმაც იკადრა ჩემზე სხვადასხვა ცილის წამება შეთხზვა.

გაზეთ „იმერეთში" შარშან დეკემბრის ბოლოს დასტამბული იყო ჩემი წერილი „ნიკოლაძის ახლანდელი მოღვაწეობის ნიმუში" სადაც მე ბრალსა ვდებდი ბ. ნიკოლაძეს, რომ ცილი დამწამა: ვითომ ჩემი მეოხებით შავიქვის მრეწველთა კრებას მსჯელობა ქონდა ფოთის ნავსადგურში შავიქვის გემებზე ასავალი კიბეების ქალაქისგან ჩამორთმევის შესახებ, ვითომ კიდეც დადგენილება გამოეტანოს კრებას აღძრულ იქმნას შუამდგომლობა ამის შესახებ სახორციელებლათო, მე კი არაფერ შუაში არ ვყოფილვარ და შავიქვის მრეწველთა კრებაზე ამ საგანზე საკითხიც არ ყოფილა დასმული.

ამის პასუხათ ბ. ნიკოლაძე თავის წიგნაკში „ჩემ პოლიტიკაზე" თავისებურათ ორჭოფათ და ორაზროვანათ ლაპარაკობს სამინისტროს წარმომადგენელმა-მააკამ მოგვიმბო რომ იმ დღეს მათი და მთავრობის ბევრი სხვა წარმომადგენელთა თანდასწრებით კრებას მისმა რჩევამ მოახსენა ქალაქი ფოთი შავიქვის მრეწველებს სცარცვავს, გემებს ტვირთვას უძნელებს და უძვირებს, კიბეებს მამასისხლათ აქირავებს და ეს უფლება ქალაქს უნდა ჩამოერთვასო-" და სხვადასხვა. ეს ამბავი ფოთში დაბრუნებისას ქალაქის თავი მოადგილეს მეუნარგიას და საფინანსო კომისიის თავჯდომარე კეშელავას მარტო ვუთხარი და მეტს არავისაო. შემდეგ ამ თხზვას სვამს, შემეძლო განა სხვა ნაირათ მოქცეულიყავიო. (საქმეც ისაა რომ სხვა ნაირათ მოიქცა). მე ვამტკიცებ, რომ კრებაზე იმასაც არ ქონია ადგილი, საც ნიკოლაძე ამბობს. ამის დასამტკიცებ

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ☛ წლიურ ხელის მომ-
# [..]რთა საყურადღებოთ ☚

[..]მათ შეღავათიან პირობებისა ვინც მეორე ნახევარ ხვედრ ფულს არ

შემოიტანს

## გაზეთის გზავნა მოესპობა.


[..]ახელებ ნიკოლაძის მიერ ჩამო- [..] „უპარტიო" მოწმეებს და ზედ [..]ღე „უპარტიო" მოწმეს იმ კრე- [..]ომარეს სამთო ინჟინერს ბ-ნ [..] რაც შეეხება ბ. ნაზაროვის [..]ში ნიკოლაძესა და მააკს შო- [..] ეს მე არ მეხება და არც ვჩი- [..] მაგრამ თუნდ მრეწველთა კრე- [..]ლი ქონდა ისეთს მსჯელობას, [..] ნიკოლაძე მოგვითხრობს: რა [..]რ მე? კრების მოქმედების პასუ- [..]ლი ხომ არა ვარ? რა არის სა- [..] სახივარსა და ამ პასუხს შო-

[..] არის, **რომ ნიკოლაძემ შეთხზა [..]აღმდეგ ბრალდება, თითქოს [..]ხებით ყოფილიყოს აღძრული [..] ინტერესის საზიანო შუამდგომ-** [..] და ამით ცილი დაწამება. [..] მითხრა პირადათ „უპარ- [..]მონდების დასწრებით ქალაქის გა- [..] 6 დეკემბერს 1912 წელს და [..]გამეორა სხვადასხვა დროს სხვა- [..]პირთან, მათ შორის საფინანსო [..] თავჯდომარე ბ. კეშელავასთან [..]ის კომიტეტის თავჯდომარე ბ. [..]ძესთან (ორივე უპარტიოა).

[..]წიგნაკში ბ. ნიკოლაძე ამბობს, [..]კის დიდი ხნით სახელმწიფო სა- [..]ოს არჩევანამდი ქალაქის საბჭომ [..]ამორთვაო, ვინაიდან მის საქცი- [..]ბადი ბოროტ—მოქმედება დაინა- [..]ნებმაო. ეს ტყუილია. ქალაქის [..] არ ქონია. მე და ბ-ნ. ბოკერიას [..] აღებული იჯარით ქალაქის უფლე [..]ქის გემებზე ასავალი კიბეების [..]ისა, იჯარის ვადა გათავდა პირ- [..]ნვარს ამ 1913 წელს იჯარის ვა- [..]ობლოვებისას ქალაქის საბჭოში [..] გამგეობამ ჩვეულებრივათ შეი- [..]კითხი: კიბეების საქმე 1913 წლის [..] იანვრის შემდეგ იჯარით გაიცეს, [..]ლაქმა თვით აწარმოვოს სოჯახო [..]? ამ საკითხის გადაწყვეტაში მე [..]ლია მონაწილეობა. საბჭომ ხმის [..]ობით მიიღო სოჯახო წესით წარ- [..] ამაზე არის შემდგარი საბჭოს ოქ- [..] კიბეებს წინათ კერძო პირები აწა- [..]დენ, რომელნიც ბევრსაც ახდევი- [..] და წესიერათაც არ მიყავდათ. [..] ჩემი ინიციატივით ქალაქმა შუამდ- [..]ობა აღძრა და კიდეც მოიპოვა კი- [..] წარმოების უფლება დამტკიცებუ- [..]ხრით. ქალაქს უფლება ქონდა, [..] ამ უფლების განხორციელებას ქა- [..] ვერც თვითონ ბედავდა და ვერც [..]რადრე იშოვა, ვინაიდან საქმეს ყვე- [..]ზარალოთ თვლიდა; მასთან წინან- [..] მაწარმოებლებიც იმუქრებოდენ. [..] მე და ბ. ბოკერიამ ვიკისრეთ ამ [..] იჯარით აღება ქალაქისაგან. [..]როს მე ხმოსნათ არ ვიყავი). კიდეც [..]ორციელეთ ქალაქის უფლება, რი- [..] დიდი ხარჯი და შრომა დაგვჭირ- [..]შევადგინეთ ჩვენებური არტელი, [..]თაც ბ-ნ ნიკოს ასე თავი მოაქვს [..] წიგნაკში. საქმე მოსაგები გამოდ- [..]მელიც ქალაქს აძლევს წლიურათ [..]და შემოსავალს 3-5 ათას მანეთს. [..] მოგვცა ამ საქმემ ცოტაოდენი მო- [..] რამაც ზოგიერთების სიხარბე და [..] გამოიწვია ჩვენ წინააღმდეგ.

[..] საქმის წარმოება ბოკერიას ქონდა [..]ბილი. მე თვეში ერთხელ არ მო- [..]ებოდა მისვლა, რადგან არ მეცალა. [..] საჭირო ვიყავი, როცა ბოკერია [..]იერათ ასრულებდა მინდობილებას. [..] თანახმათ კიბეების ქირა უნდა აგ- [..] მრეწველებისგან კიბეებით გადა- [..]ული ქვის რაოდენობის მიხედვით [..] მან. ათასტონზე) და, რასაც ჩვენ [..]დით იმისი 20% ქალაქისთვის უნდა გვეძლია. ბოკერია იწერდა ცნობებს იმაზე, თუ რამდენი ვაგონი იტვირთებოდა გემში, მრეწველები ვაგონს ანგარიშობდენ 12 ტონათ (750 ფ.) და ასე გვისწორდებოდენ. ჩვენ კარგათ გვესმოდა, რომ ვაგონში შესაძლებელია დაიტვირთოს 12 დან 26 ტონამდი, მაგრამ რადგან სხვა საშვალება არა გვქონდა, ამას ვჯერდებოდით. ხანდახან ტამოჟნიდან და გემების კაპიტნებისაგან გავიგებდით ტვირთის რაოდენობას, რომელიც მეტი გამოდიოდა, ვიდრე მრეწველი ანგარიშობდა, მაგრამ ამას იმით ხსნიდენ, რომ ჩვენ ხანდახან მეტს ვწერთ კონოსამეტში, რომ ამით ავანსი მეტი ავიღოთო. რამდენჯერმე გამოუცხადეთ ამაზე ქალაქის გამგეობას ბ. ნიკოლაძის პირით და ვთხოვდით დარიგებას, როგორ მოქცეულვიყავით. ნიკოლაძეც **ასე გვირჩევდა, მრეწველებთან საქმე არ გაამწვავოთ, ყოველთვის შეთანხმებით იმოქმედეთო და ჩვენც ასე ვიქცეოდით.**

გავიდა ორი წელი და ნახევარი და ქალაქმა ჩვენი ანგარიში შეადარა ტამოჟნის ცნობებს და რასაკვირველია, ამ ხნის განმავლობაში დაგროვილმა განსხვავებამ შეადგინა 600 მანეთამდი. მაშინ ნიკოლაძე პეტრეს ქალაქში ბძანდებოდა და საქმეს მეუნარგია აწარმოებდა. მეუნარგია გვთხოვდა მისი ანგარიშით 1200 მანეთს; ჩვენგან ერგებოდა (უკანასკნელი ორი თვის შეუტანელი იყო) 600 მანეთამდი; ასე რომ 600 მანეთს შეადგენდა სადაო თანხა. ჩვენ ამას არ ვაძლევდით; ბოლოს შევთანხმდით ათას მანეთზე, ესე იგი ჩვენ გადავიხადეთ იმაზე ზედმეტი, რაც ჩვენგან ქალაქს ერგებოდა, 400 მანეთამდი იმიტომ, რომ ქალაქთან განწყობილება არ დაგვეღლვია, თვარა, სასამართლოში რომ წასულიყო საქმე, ჩვენ მოვიგებდით. ამაზე შედგა მორიგების ოქმი 1910 წ. ნოემბერში. ინჟინერს მაშინ მეუნარგიამ მოატანია ტამოჟნის ცნობები, და იქ აღნიშნული წონა გადააკეთებია ტონებათ. მეტი არავითარი მოხსენება ინჟინერს არ გაუკეთებია. პირიქით **მე უტყუარი დამტკიცება მაქვს, რომ ინჟინერი მაშინ ჩვენს მხარეს იჭერდა და მეუნარგიას ამტყუნებდა.** ახლა კი გიმნაზიის შენობის ცნობილ ინციდენტს შემდეგ ის ინჟინერი მე მემდურის და ამის გამო ჩემს საქმეზე მოწმეთ არ გამოდგება. ეს კარგათ იცის ბ. ნიკოლაძემაც.

ამ 1913 წლის პირველ იანვრამდი იჯარას, თანახმათ პირობისა, ჩვენ ვაწარმოებდით, ხოლო ვადის გასვლისას ჩავაბარეთ ქალაქს; ქალაქმა შეიძინა ჩვენგან თვით კიბეები და ყოველი ანგარიში ჩვენსა და ქალაქს შორის გასწორდა, რის დასამტკიცებელი საბუთები ხელში გვაქვს. მაშასადამე, მე და ბ. ბოკერია **ჩამოვშორდით ქალაქის იჯარას არა საბჭოს დადგენილებით და „ბოროტმოქმედების გამო", არამედ იჯარის ვადის გასვლის გამო რამდენიმე თვით სახელმწიფო სათათბიროს არჩევანს შემდეგ და არა „დიდი ხნის წინათ", როგორც ნიკო ბძანებს.** მაშ რითი აიხსნება ეს ცილის წამებანი? ბ. ნიკოს ჩამოქვეითებითა და დაწვრილმანებით.

ღმერთმა ქნას, რომ ნიკოლაძემ და მისმა დამქაშებმა ისე პირნათლად გაასწორონ ფოთში ძველი და ახალი ანგარიშები, როგორც ჩვენ გაგვისწორებია. და მათ მიერ გაკეთებულ საქმეებს. შეძლებოდეს, მათ მიერ წახდენილის დახურვა. მაშინ ფოთელები არ ვიქნებით ზარალში. მაგრამ ვგონებ ეს შეუძლებელია და ვნახავთ.

გარდა ამისა ბ-ნი ნიკოლაძე ბძანებს: „რამდენათ მოერიდება ვინმე ამ ვაჟბატონის (ე. ი. ჩემი) ძლიერებას, აქაურმა არჩევნებმა საკმაოთ აღმოაჩინა ვისმა გვერდით ამოდგომამ თვით ისეთი პატივცემული და მაღალ ღირსი მოღვაწე გააშავა, როგორიც ლეონიდე ეპისკოპოზი ბრძანდება, მას განა ვინმე მტერათ ჩასთვლის?"- და აქვე შენიშნავს: „თუმცა, ჩემი მხრით, არავითარი მეცადინეობა არ დამიკლია, რომ მისი ყოვლად უსაღვდელოესობა ამოერჩიათ."- თუ ეს ლოღიკა სწორია და ამ არჩევანს ვისამე „ძლიერების" გაზომვა შეუძლია, ჩანს არც ბატონი ნიკოლაძე ყოფილა ბევრათ ჩემზე ძლიერი, ვინაიდან ყოვლად სადვდელო ლეონიდეს, რომლის ამოსარჩევათ ბატონ ნიკოლაძეს, თუ მის ფიცს დავუჯერებთ, არავითარი მეცადინეობა არ დაუკლია, სულ ხუთიოდე ოეთრი კენჭი ამოუვიდა ჩემზე მეტი. კიდევ ბ-ნი ნიკოლაძე სწერს: „ბატ. ესაკიას საქციელში, ქალაქის მინდობილებათა შესრულების დროს, ცხადი ბოროტმოქმედება დაინახეს. ვისაც გაძევება ამგვარ პროზაულ შეცდომისთვის ხვდა, დაცინვით განაგრძობს ბ-ნი ნიკო,-მას უექვოა დაშვენდება პოლიტიკური რწმენისთვის წამების გვირგვინი." თუ რა უკუღმართათ ანათებს ბ-ნი ნიკოლაძე ჩემი მოიჯარადრობის როლს (და არა მინდობილობის შესრულებას, როგორც ის ბრძანებს: მე არავითარი მინდობილობა არ მქონია, არც არჩეული ყოფილვარ ვისგანმე მოიჯარადრეთ), ეს უკვე დავინახეთ ზევით.

რაც შეეხება პოლიტიკური რწმენისთვის წამების გვირგვინით დაშვენებას —ვფიცავ, არაოდეს მოწამეობა არ დამიჩემებია და კიდევაც რომ ბოროტმოქმედება ჩამედინა და პოლიტიკური რწმენისათვის მეღალატებიოს, ამის მხილების უფლება მარტო იდეურ მებრძოლს და ზნეობრივათ სპეტაკ პირს აქვს და არა ბ-ნს ნიკოლაძეს, რომელიც... მაგრამ კმარა... არ შემიძლია არ მიუთითო მკითხველს კიდევ ერთს გარემოებაზე. ბ-ნი ნიკოლაძე დიდის რიხით სწერს: მე რაც მითქვამს, არ არ გადავთქვამო. ფოთში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნის დროს რომ აგიტაციას ეწეოდა: თუ აბაშიძის მომხრეებმა გაიმარჯვეს, ფოთს საფუთო გადასახადს მოუსპობენო, ამაზე რატომ ხმას არ იღებს თავის წიგნაკში ბ-ნი ნიკოლაძე, თუ ის გამბედავი მოქალაქეა.

**მიხა ესაკია.**

P. S. ფოთის ელევატორზე ბევრი მაქვს სალაპარაკო, მაგრამ ამაზე ცალკე ვილაპარაკებ თავის დროზე.

მ. ე.

# რუსეთი.

**სათათბირო.** სათათბირო უკვე შეუდგა 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. პირველათ ილაპარაკა კოკოვცოვმა. მან თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნა რუსეთის საქმეთა დღევანდელი მდგომარეობა. მისი შეხედულებით რუსეთი წლითი-წლობით წინ მიდის. კოკოვცოვს პასუხი გასცა და საერთოდ ხარჯთ-აღრიცხვაზე ბევრი ილაპარაკა შინგარევმა. ამ ორატორმა ფაქტებით ხელში აშკარა ყო კოკოვცოვის ოპტიმისტობის უსაფუძვლობა. მეურნეობისა და სწავლა განათლებას შემდეგ შინგარევმა რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობაზე ილაპარაკა. დაამტკიცა რუსეთის ჩამორჩენილება ვაჭრობა-მრეწველობაში სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში ინგლისში 6 პროცენტით გაძლიერდა ვაჭრობა, გერმანიაში 27-ით, ხოლო რუსეთში კი ორი პროცენტით. კოკოვცოვის სიტყვის შესახებ ილაპარაკა სხვა ორატორებმაც.

**ვ. სობოლევსკი.** გადაიცვალა „რუსკია ვედომოსტის" რედაქტორი ვ. სობოლევსკი. ხსენებული გაზეთი რედაქტორის გადაცვალების გამო შავი არშიებშია ჩასმული. სობოლევსკი 1875 წლიდან რუსკია ვედომოსტის მუდმივი თანამშრომელი იყო. 31 წლის განმავლობაში ამ გაზეთს რედაქტორობდა.

**სამრევლო შკოლები..** სათათბიროს, სახალხო განათლების შესახებ კომისიამ მიიღო სინოდის პროექტი სამრევლო შკოლების მასწავლებელთა ჯამაგირისათვის 2282000 მანეთის გადადების შესახებ.

**პურიშკევიჩი და პროფესორები.** როგორც „რეჩი" სწერს, პურიშკევიჩს სტუდენტ აკადემისტებისათვის უთხოვია ზოგიერთ პროფესორთა მოღვაწეობის შესახებ ცნობები მომაწოდეთო, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყარით ტეხნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორ ზერნოვის მოღვაწეობას, მაცნობეთ თუ როგორ მოეპყრობს იგი სტუდენტებს და ან რა სთქვას პროფესორთა საბჭოს კრებაზეო.

# გაზაფხული.

აბიბინდა ტურფათ მდელო,
ფრინველთ იწყეს ჟრიამული
და ქვეყანას ლხენით უქცრს
ვაზი წელში გამართული.

ლაჟვარდოვან ცის კამარას
სალამს უძლვნის არე მარე,
დაქათქათებს მთელს ბუნებას
მზე ათასფრათ მომცინარე.

ვარდის ბუჩქში გამოისმის
საამური ხმა ბულ-ბულის,
უცნაურათ მომხიბლავი
და წარმტაცი გრძნობა-გულის!..

ირგვლივ ლხენა, ირგვლივ მღერა,
სასიამო, ათასგვარი...
მაგრამ ჩემთვის ყველა ქრება,
წამიერი ვით სიზმარი!..

იმიტომ, რომ ძლიერ-ხშირად
თავის სამოსს ცვლის ბუნება.. ..
მაგრამ ჩემი გაზაფხული
ჯერ არსად სჩანს, არა დგება!..

მოვა დრო და აყვავდება,
ვით სხვა, ისე ჩემი მხარე,
სიხარულით შემეცვლება
დღევანდელი ოხვრა მწარე!..

**ჯვარელი.**

## ქართული სათვისტომო

**პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში.**

მდგომარე წლის აპრილის პირველ რიცხვებში პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში დაარსდა ქართული სათვისტომო. ჩვენ, ხსენებული ინსტიტუტის ქართველ სტუდენტებს, კარგი ხანია სურვილი დაგვებადა საკუთარი სათვისტომო დაგვეარსებია. ეს ჩვენთვის მით უფრო საჭირო იყო და არის, რომ იძულებული ვართ ქალაქზე დაშორებით, ინსტიტუტის ახლო—ლესნოიში - ვიცხოვროთ. პირველ ხანებში ჩვენი სურვილი ვერ განვახორციელეთ იმ მიზეზის გამო, რომ რიცხვით ძალიან ცოტა ვიყავით. როცა საკმაოთ შევგროვდით, დაბრკოლება ინსტიტუტის გამგეობის მხრით შეგვხვდა: უკანასკნელი არ გვეთანხმებოდა ახლათ დაბადებული ორგანიზაცია ქართულ სათვისტომოთ მოგვენათლა; მან წინადადება მოგვცა რომელიმე ვიწრო გეოგრაფიული სახელი აგვერჩია (როგორც მაგალ; ქუთაისის სათვისტომო, მცხეთის და სხ.) რადგანაც ქართული სათვისტომო ეროვნულ დაწესებულებას ჩამოგავს და ამიტომ მას ინსტიტუტის კედლებში ალაგი არ უნდა ქონდესო. ბოლოს, როგორც იქნა, გამგეობა დარწმუნდა, რომ სახელს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და არავის მისგან არავითარი საფრთხე არ მოელის.

სათვისტომოს წესდების მე-21 მუხლის თანახმათ, მთელი მისი ქონება, უკეთუ ის თავის მოქმედებას შესწყვეტს, რჩება „ქ. შ. წ-კ გამ. საზ." (ტფილისში) სათვისტომოს აქვს თავისი ბიბლიოთეკა, რომელიც შესდგება სხვადასხვა, ზოგი სათვისტომოს ფულით შეძენილი და ზოგიც შემოწირული,—წიგნებისა და ჟურნალგაზეთებისაგან.

სათვისტომოს გამგეობა მიაწოდებს ყოველგვარ ცნობებს ინსტიტუტის შესახებ ყველა იმ პირთ, ვისაც ინსტიტუტში შესვლა განუზრახავს. (მისამართი: ს.-პ.ბ. პოლიტეხ. ინსტ. სილ. ყიფიანი. საპასუხო წერილისთვის საჭიროა 7 კაპ. მარკა)

**სტუდ. ა. ბაბუნაშვილი.**

## კიდევ იმერეთის სამრევლო შკოლების შესახებ.

(დაგვიანებული პასუხი).

ბ. გრ. ცხრუკვეთელი გაზ. „იმერეთის" № 35 შეეხო იმერეთის სამრევლო შკოლათა მასწავლებლების გაჭირვებულ მდგომარეობას, [..] მათ სუფათ და თან ეპარ. სამასწავლებლო საბჭოს ბ. თავჯდომარეს შეკითხვას აძლევს, რამაც გამოიწვია პასუხი მ. თავჯდომარის იმავე გაზეთის მე № 44-ში.

ბ. ცხრუკვეთელის მიერ აწერილს მასწავლებლების ტიპს ბევრს შეხვდებით იმერეთის სამრევლო შკოლებში, უმჯობესი ტიპები კი დიდათ არ განირჩევიან მისგან, რადგანაც „ჭამა ქონებაზე კიდია" და შეძლების გვარათ ცხოვრობენ.

ცუდს მდგომარეობაში არიან სამინისტრო შკოლის მასწავლებელნი, რადგანაც შესაფერი გასამრჯელო მათ არ ეძლევათ, მაგრამ ამ მხრივ სამრევლო შკოლათა მასწავლებელნი კიდევ უფრო დაჩაგრული არიან. არა მგონია, რომ რომელიმე ერთკლასიან სამინისტრო შკოლის მასწავლებელს 350 მან, ნაკლები ჯამაგირი ქონდეს წელიწადში, სამრევლო შკოლათა მასწავლებლების თითქმის ნახევრობა კი წელიწადში ღებულობს 150-300 მანეთამდი, როგორც მ. თავჯდომარე აჩვენებს თავის პასუხში. არას ვამბობ ე. წ. „წერა-კითხვის" შკოლების შესახებ, რომელთა რიცხვი საკმაოთ ბევრია. იმათი მასწავლებელნი არავითარ საყვედურს არ ღებულობენ. როგორც სჩანს მასწავლებელთა ნახევარი კანონიერ ნორმაზე ნაკლებ ჯამაგირს ღებულობს. ერთი ეს გარემოება. მეორეს მხრივ სამრევლო შკოლათა მასწავლებლებს ცუდი მოპყრობა აქვთ თავიანთი უფროსების მხრივ. აი, ეს ორი მიზეზი ქმნის იმისთანა მასწავლებლებს, როგორიც აწერილი ყავს ბ. გრ. ცხრუკვეთელს თავის წერილში, ე. ი. მასწავლებლებს „დაფლეთილი ტანისამოსით, გახუნებულ ცხვირჩამოვარდნილი ქუდით, ქუსლ-მორღვეულ-მოგლეჯილ წინდებზე ცეცხლზე თფობით დამწვარი, დაპრანჭული წაღებით, დაღვრემილ, დაბეჩავებული პირისახით" და სხვა.

შეუძლიათ სთქვან, ჩვენ რასაც ვღებულობთ მასწავლებელთა ჯამაგირათ იმას კიდევაც ვურიგებთ მათ და იმაზე მეტს ჩვენი ჯიბიდან ხომ არ მივსცემთო. მაგრამ ეს არაფერი სათქმელია, რადგანაც ბბ. წევრებს საბჭოსას ამისთანა მოწყალებას არავინ მოსთხოვს, იმათ მოსთხოვენ ისე დაანაწილონ ეს ბოძებული თანხა, რომ კანონიერ ნორმაზე ნაკლები ჯამაგირი არც ერთს მასწავლებელს არ ეძლეოდეს. განა კანონი უბძანებს მათ, რომ მორძგვეთის, გინა ჩიხორის შკოლის მასწავლებელს 150 მან. დაუნიშნე წელიწადშიო? არა, კანონი ნებას აძლევს მათ მისცენ თითოეულ მასწავლებელს ჯამაგირათ 360 მანეთამდი წელიწადში.

იტყვიან, ჩვენ ბევრი შკოლა გვაქვს, თანხა კი ცოტა გვეძლევაო, მაგრამ რომელი კანონი უბრძანებს საბჭოს, რომ მას იმერეთში 186 შკოლა ქონდეს და არა ასი, ან ნაკლები და კანონის მიხედვით უზრუნველყოფილი? გვეტყვიან, ჩვენ უკვე გახსნილი გვაქვს შკოლები და იმათი დახურვა გვენანებაო. კეთილი, მაგრამ ახალს უჯამაგირო შკოლებს რადა ხსნიან? (აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ 150-300 მანეთს მე მასწავლებელის ჯამაგირს არ ვეძახი. 60 მან. ძალიან დიდი თანხაა გადავარდნილი მასწავლებლისათვის). იმ პრინციპის მიმდევარი რომ ყოფილიყო საბჭო, არსებული შკოლები გაამაგროს და უზრუნველყოს, მაშინ 10 წლის თუ არა 5 6 წლის წინათაც უნდა შეეწყვიტა ახალი შკოლების გახსნა და მცირე ჯამაგირიანი მასწავლებლების გამრავლება. თუ საბჭოს თავმჯდომარე მართლა გრძნობს, რომ „უსასყიდლო მუშაკისაგან ნაყოფს არავინ უნდა მოელოდეს" (იხ. მისი პასუხი), მაშინ ისიც უნდა იცოდეს, რომ უნაყოფო შკოლის ყოფნას არყოფნა სჯობია, რადგანაც შკოლა ადამიანის სულის ყალიბია და მრუდე ყალიბი სულსაც გაამრუდებს, საზოგადოებასაც დაამახინჯებს და თავს შეაზარებს მას.

ბ. თავმჯდომარე გვპირდება: „საბჭო... შემდეგშიაც განაგრძობს ხელმძღვანელობას იმ დაკანონებისა და მოწერილობების ძალით, რომლებითაც საბჭოს აკრძალული აქვს გაამრავლოს ისეთი ახალი შკოლები, რომელთა მასწავლებლებს ჯამაგირი არ ექნებათ დანიშნული". ეს დაპირება ბევრი ვერაფერი ნუგეშია, თუ ბ. თავმჯდომარე 150-200 მან. ჯამაგირს დაარქმევს და ამის მიხედვით გახსნის ახალს შკოლებს, ამითი მასწავლებელთა მდგომარეობას ვერ გამოაკეთებს და მუდამ იმისთანა მასწავლებელი ეყოლებათ, როგორიც დაუხატა ბ. ცხრუკვეთელმა, რაც ასე ეუცხოვა ბ. თავმჯდომარეს (თითქო

# სავაჭრო სახლი გოკიელის ძმ-ბი ქუთაის

მიღებულია: შაბიამანი ინგლისის, გოგირდი დაფქვილის საუკეთესო ხარისხის, ნამდვილი „ვერმორელის“ მანქანა, გოგირდის [illegible]

იყიდება ზომიერ ფასად.


ხშირათ მის კარებზე არ იყოს ამისთანა მასწავლებელი აყუყული!) საქმეს გამოაკეთებს მხოლოდ ის, თუ საბჭო კეთილ ინებებს და არ გახსნის ახალ შკოლას, თუ ძველს ვერ შეელევა, მანამდის, სანამ ყველა სამრევლო შკოლის მასწავლებელთა ჯამაგირი ნორმამდი არ ავა.

ვსთქვი, ცუდათ ეპყრობიან სამრევლო შკოლის მასწავლებლებს თავიანთი უფროსები-თქო. (აქ სახეში არა მყავს ეპარქიის ახალი ბ. მეთვალყურე. ის ახლად გამწესებულია და მიმდინარე და მომავალი წელი დაგვანახვებს მისს მოქმედებას და საზოგადოებაც მოქმედების მიხედვით დასდებს მსჯავრს). რადგანაც მასწავლებლებს მცირე ჯამაგირი აქვთ, პასუხის გება და ჯაფა კი დიდი, სამაგიეროთ მოპყრობა მაინც კარგი უნდი ქონდეთ. უფროსები უნდა ამხნევებდენ, თანაგრძნობით ეპყრობოდენ მათ. ყოფილ ეპარ. მეთვალყურეს, პატივცემულ დ. ჟორდანიას, როცა სამსახურიდან გასვლაზე წინადადება მისცეს, ერთ-ერთ მიზეზათ მასწავლებელთა ცუდი მოპყრობა დაუსახელეს, რაც მართალი იყო.

ხშირაჟ გამიგონია რომელიმე უფროსისაგან, რომელიც მასწავლებელს ეუბნება: „თუ ჩვენი ჯამაგირი არ გაკმაყოფილებს, შეგიძლიათ სხვაგან მონახოთ ცხოვრების სახსარიო“. ამისთანა აზრს ბ. თავმჯდომარეც გამოსთქვამს თავისს პასუხში წ. „წერა-კითხვის“ შკოლათა მასწავლებლების შესახებ. მაგრამ ერთ-კლასიან და ორკლასიან შკოლათა მასწავლებელსაც ბევრჯერ სმენია ამისთანა სიტყვა უფროსთაგან. ნუ-თუ ეს არის გამხნევება და ნუგეში? საზოგადოთ სხვა ადგილის შოვნა ასე ადვილია განა? კარგი, ვსთქვათ, მასწავლებელმა დაუჯერა უფროსს და გავიდა, განა იმის ადგილს სხვაც ისე არ შესჩივლებს თავისს გაჭირვებას?

საზაფხულო არდადეგების დროს მასწავლებელთა ნახევრობამ ტრადიციულათ არ იცის, თუ რომელ შკოლაში იმასწავლებლებს მომავალი ეკენისთვიდან: დატოვებენ მას იმავე ადგილას, თუ ძალით ან ნებით სხვა შკოლაში მიუჩენენ ბინას. აქიდან გამოდის მასწავლებელთა ემიგრაცია და მთელი ნახევრის ან მეტი წლის ჯამაგირი გზაში უნდა ხარჯონ გადასვლა-გადმოსვლაში. ვიცნობ იმისთანა მასწავლებელს, რომელიც 10 წლის განმავლობაში 6-ჯერ გადაუყვან-გადმოუყვანიათ ხან ძალით, ხან ნებით. იმისთანა შკოლაც ვიცი, რომელსაც 9-10 წლის არსებობაში 17-18 მასწავლებელი გამოუცვლია. განა ამისთანა მოპყრობა თანაგრძნობითია, თუ მასწავლებლის გულის გამტეხი და შკოლის საქმეების შემაფერხებელი?

ერთსა და იმავე მასწავლებელს ხან მოუმატებენ ჯამაგირს და ხან მოუკლებენ. ამისთანა შემთხვევები იყო წასულს და ამ სამოსწავლო წელსაც. გასულს ეკენისთვეში ზოგიერთ მასწავლებელთაგან მოისმოდა, რომ მით, მათგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო, ჯამაგირი მოუკლეს (თუნდა მათი მიზეზიც ყოფილიყო,—ჯამაგირის მოკლება მასწავლებელს ენერგიას შემატებს თუ!) ამისთანა შემთხვევა ცუდათ მოქმედობს მასწავლებლებზე. კაცს ჯამაგირი ეძლევა, ბევრია, თუ ცოტა, ამ ჯამაგირით იმდენს გასავალს გაიჩენს, რამდენიც შემოსავალი აქვს. იმდენზე გასწვდის ფეხს, რუსული ანდაზის მიხედვით, რამდენზედაც საბანი გასწვდება. ანაზდათ მას ეუბნებიან:—მოხუჭე ფეხები, მაგდენზე ნუ წაიწვდიაო! ძნელია. იმერეთის სამრევლო შკოლების სათავეში მყოფნი ყველა გამოცდილი არიან ცხოვრებაში და არ უნდა იყვნენ უკრძნობელნი სხვის შესახებ.

მაგალითისათვის ავიღოთ საჩხერის შკოლა, რომელიც ერთი საუკეთესო ორკლასიანი შკოლათაგანია. იქ მსახურობს მასწავლებელი, რომელსაც ოც წელზე მეტი უმსახურნია ამ უწყებაში: თავისი ჯანი და ღონე საჩხერის შკოლისთვის შეუწირავს; მისი ოჯახი ცხრა სულისაგან შესდგება; ოთხი შვილი სასწავლებელში ყავს, რომელთაგან ერთი გიმნაზიაშია, ამისთანა მასწავლებელს ჯამაგირი მოუკლეს, როგორც სარწმუნო პირებმა გადმომცეს. რისთვის? ერთგულობასა და ბეჯითობისათვის? არა. ამას როგორ იქმოდენ. უთუოდ ახალს 150 შკოლას გახსნიდენ და იმის ჯამაგირსაც იქ გადიტანდენ. აქ მაგონდება უკვდავი კრილოვის არაკი: „ტრიშკინ კაფტან“.

ყველა ამ ზემოთ მოხსენებულს ზედ დავუმატოთ ღვდლების, სამრევლო შკოლათა გამგეების, ცუდი მოპყრობა მასწავლებელთა მიმართ. რაც ჟურნალ-გაზეთებში არა ერთხელ იყო გამომჟღავნებული (იხ. წინა წლების გაზეთი. „კოლხიდა“ № 52 და ჟურნალი „განათლება“ 1912 № 4) და აქიდან ნათლად დავინახავთ, თუ როგორი მოპყრობა აქვთ სამრევლო შკოლის მასწავლებლებს უფროსების მხრივ.

ჩემი წერილი უმთავრესათ გამოიწვია ეპარქ. საბჭოს ბ. თავმჯდომარის მიერ გამომჟღავნებულმა „სამწუხარო ფაქტებმა“, რომელიც ეხება სამრევლო შკოლების შინაგან მდგომარეობას. ბ. ცხრუკვეთელის მიერ აწერილმა სურათმა ძლიერ ააშფოთა მ. თავმჯდომარე და მის წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადებია, მაგრამ, სამაგიეროთ, შკოლების შინაგან სიდუხჭირეს, სივაგლახეს თითონვე ამჟღავნებს, სწერს: „არ შემიძლია არ აღვნიშნო სამწუხარო ფაქტები, გადმოცემული ეპარქიის მეთვალყურისაგან, რომელიც მიუხედავათ იმისა, რომ რუსია, უკმაყოფილო რჩება ჩვენს მასწავლებლებზე, იმითი, რომ ქართული წერა-კითხვის სწავლაზე ბევრს მასწავლებელთაგანს ჯეროვანი ყურადღება არა აქვს მიქცეულიო“. ამითი თითქო ასე ეუბნება ბ. ცხრუკვეთელს:—შენ მიერ დახატული სურათი ცრუ არის, სინამდვილეს არ შეესაბამება; გარეგნობას კიდევ არა უშავს რა, შკოლა შიგნით არ გვივარგაო. ნუ-თუ პატივცემულ ბ. თავმჯდომარეს გონია, რომ თვითონ არავითარი ბრალი არ მიუძღვის ამ „სამწუხარო ფაქტების“ გაჩენაში? უთუოდ გონია. როდის იყო, რომ მან მოუწოდა მასწავლებლებს სამასწავლებლო კურსებზე, ან რაიონებში, რომ რაიმე პრაქტიკული ან თეორიული ცნობა მიეცა მისთვის? როდის იყო, რომ მან მიუთითა, მამაშვილური რჩევა მისცა მასწავლებლებს, რომ ესა და ეს პერიოდული გამოცემა, ან წიგნი შეიძინეთ თქვენის ან შკოლის ხარჯით, რომ თქვენი გონება გაიფართოოთ, როგორც პედაგოგიკის შესწავლის მხრივ ისე სხვა მხრივაცო?—არ მახსოვს! პედაგოგიკა წინ მიდის; მასწავლებელთა ხელმძღვანელნი კი უნდა სცდილობდენ, რომ უკან არ ჩამოარჩინონ ამ მახვილობას თავიანთი მასწავლებელნი რომ, შემდეგ ისინი უვარგისი არ გახდენ.

თქვენ ამბობთ: „მასწავლებლების ფიქრით მეთვალყურე რუსია, ქართული არ იცის და ვერც დედა-ენის სწავლების ავკარგიანობას გაიგებს შკოლაშიო“. ამ სიტყვებით თქვენ ამჟღავნებთ მასწავლებელთა უსუსურობას, სიბრიყვეს, რომლის საქვეყნოთ გამომჟღავნება უფრო საძრახისი უნდა იყოს თქვენთვის, ვინემ იმათი ცუდი გარეგნობის გამომჟღავნება. ვინ გვაიძულებს, რომ ცუდს მასწავლებელს ჯამაგირი ვაძლიოთ? როცა ყოველ ღონისძიებას ვიხმარ რომელიმე გამოუცდელი მასწავლებლის გამოსაკეთებლათ და დავრწმუნდებით, რომ ის არ ვარგა, დავითხოვ და იმის ადგილას უკეთესს მოვიწვევ. მაგრამ თქვენ იმდენათ არა ხართ შკოლის საქმეებით დაინტერესებული, რომ უკეთესი მასწავლებელი ეძიოთ. პირიქით, ფხიზელი და საქმის მცოდნე მასწავლებელი არა სასურველათ მიგაჩნიათ. გიყვართ კი უტყვი, დამჯერე მასწავლებელი.

სამრევლო შკოლების უახლოესი ხელმძღვანელი არიან მაზრის მეთვალყურენი. უმთავრესად იმათ აქვთ დაკისრებული მაზრის შკოლების ხელმძღვანელობა. ამიტომ, უკეთუ მაზრის მეთვალყურე თავის მიერ ნაკისრი საქმის მცოდნეა, შკოლის საქმეებსაც უმჯობესათ მოაწყობს. მე ვიცნობ შორაპნის მაზრის მეთვალყურეს. იგა 6—7 წელიწადი იქნება მეთვალყურეთ. საბჭომაც იცის და სხვებმაც, რომ მას არ შეუძლია ნაკისრი თანამდებობის ასრულება, რადგანაც ამისთანა თანამდებობის კაცისათვის საჭიროა პედაგოგიკის კარგი ცოდნა, მასწავლებლობაში გამოცდილება და საქმის ჯეროვანათ დაყენების მონდომება. იგი ამეებს ყველას მოკლებულია. სამაგიეროთ კარგად ეხერხება მას საქმის არევ-დარევა, **რაღაც მიზეზების გამო**. გვაქვს მაგალითები, რომ იგი ცთილა და გადაუკიდებია ერთმანეთზე მასწავლებელი და შკოლის გამგე ღვდელი, ხალხი და მასწავლებელნი, მასწავლებელნი და საბჭო. რამდენი თათფირი გაუმართავს საბჭოს იმის მიერ დახლართული საქმის გამოსაკეთებლათ, რამდენი შეწუხება მიუღია მისგან საქმეების არევდარევით, მაგრამ საბჭო მაინც არ აშორებს მას შკოლის საქმეებს! ზემოთ ჩემ მიერ ხაზ-გასმულ „რაღაც მიზეზებათ“ ბოროტი ენები ვინ იცის, რას არ ამბობენ და ამისთანა ხმები, შესაძლებელია, საბჭოს ზოგიერთ წევრის ყურამდისაც არის მოსული, მაგრამ საბჭო მაინც არ ელევა მას.

ვუსურვებ სამრევლო შკოლებს კარგს მომავალს, ნაყოფიერს ნიადაგზე დადგომას ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ.

**მეთვალყურე.**

## პასუხათ მიხეილ ბრევაძეს.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროთ მიმაჩნია მკითხველს გავაცნო საქმის ვითარება. გასულ წელს გიორგობისთვის 27-ს, როცა ჯერ კიდევ ამხანაგათ ვიყავი საპარიკმახერო „პრიმუსში“, კასიდან ასოცდახუთი მანეთი დაიკარგა, ისე რომ არც მაღაზია იყო გატეხილი და არც კასა; ცხადია, მორგებული გასაღებით იყო კასიდან წაღებული ფული, და ამ დროს კი კასა მე მებარა და პასუხის მგებელიც მე ვიყავი, და კიდეც ხმა ამოუღებლათ ეს დაკარგული ფული ჩემი საკუთრებიდან მე გადაუხადე ამხანაგობას. ცხადია ფული გარეშეს არ წაუღია და მეც ეჭვი ყველა იქ მომუშავეებზე მებადებოდა, [illegible] ვისზე არ დამიდვია. რაც შეეხება ბ. ბრევაძის ბრალდებას, ვითომ ხელი პირდაპირ მისთვის დამედვას, ეს სიმართლეს მოკლებულია; მხოლოდ ვინ გამამტყუნებს რომ, როდესაც დაკარგული ფული ტყვილ-უბრალოთ გადავიხადე, ყველა ჩვენთან მომუშავეებს თვალ-ყურს ვადევნებდი, რომ რამე შემენიშნა და თქვენ, ბ. ბრევაძე ორჯერ—სამჯერ დაგიჭირეთ, რომ ჩუმათ „ხაკაზები“ გააკეთეთ და აღებული ფული თვითონ ჩაიჯიბე, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ვიმეორებ, მაინც ხელი შენთვის პირადათ არ დამიდვია. მერე თქვენ ამბობთ, ბ. მიხეილ, რომ მარგველაშვილი იმიტომ გავიდა ამხანაგობიდან რომ სამედიატორო სასამართლოს აშორება არჩიაო, სიცრუეა—მე თქვენი წინადადებით რათ უნდა გამოსულვიყავი ამხანაგობიდან, როცა თვით ჩემი ხელქვეითი მომუშავე იყავით და სრული უფლება მქონდა დამეთხოვეთ, ამაზე პასუხს არ ვაგებდი, და არც მე გავიდოდი ამხანაგობიდან, მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა, ამხანაგობაში კიდევ ოთხი თვე დავრჩი, და მემე ამხანაგობის სურვილით და შეთანხმებით მეც და მეორე ამხანაგიც გამოვედით.

დასასრულ უნდა მოვახსენო ბ. ბრევაძეს, რომ ყოველივე ჩემი სიმართლე აღვიარე და სამედიატორო სასამართლოს გახარჩევი რაღა უნდა იყოს აქ, თვარა მე მუდამ მზათა ვარ გავყვე ამ სამართალში, თუ კი ესმის მას ამ სამედიატორო სასამართლოს მნიშვნელობა...

**სილიბისტრო მარგველაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჰელიძე.**


ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА
ПАПИРОСЫ „ИНТЕЛЛИГЕНТНЫЯ“
ЦѢНА 25 шт. 15 к. 10 ш. 6 к. 100 ш. 60 к.

ПАПИРОСЫ ГОЛУБКА 10 шт. 3 коп.
ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА

ПАПИРОСЫ ЭКСТРА 15 шт. 6 коп.
ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА

# გ. გორდაძის და ს. წერეთლის

ერთად ერთი წარმომადგენელნი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის, სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, სტეფანეს მის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მა[illegible] განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „Бемское“ რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან მიღებული რკინეული საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ. ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაილის ქუჩაზე № 65.


## რკინის გზა.

| ქუთაისიდან მიდის. | | ქუთაისს მოდის. | |
|---|---|---|---|
| **თფილისს:** | სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ. | **ოფილისი-დან:** | სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სახ. 1 ს. 26 წ. ღამით. |
| **ბათომს:** | სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ, 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ. | **ბათომიდგან:** | ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. დ.; 7 საათ. დილ. |
| **ფოთს:** | სავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ. | **ფოთიდან:** | საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. |
| **შორაპანს:** | საავარ. 4 ს. 57 წ. დღ. | **შორაპნიდან:** | საავ. 9 ს. 31 წ. დღ. |
| **ტყიბულს:** | სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ. | **ტყიბულიდან:** | სახ. 5 ს. 11 წ. დღ.; სახ. საათ. 9 წ. დილ. |


# ნ. ს. ტერკი.

ქუთაისი. ქარვასლის ქუჩა.



## სპეციალური სავაჭრო

**ნავთის კალილო ლამპები და ფარნები, 75% იაფი ელექტრონულზე, იოლათ და ადვილათ თოსავლელი.**

ნავთისავე მრავალი ფეჩები, სამზარეულო, სათფური და პრიმუსები.

**ფასები ძლიერ დაწეულია.**

მოითხოვეთ პრეისკურანტები.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველთვიურ ჟურნალ

# „განთიადზე“

(წელიწადი პირველი)

და ყოველკვირეულ გაზეთ

# „შინაურ საქმეებზე“

წელიწადი მეხუთე

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ორივესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს **ორივე გამოცემა წლიურათ 7 მანეთად დაეთმობა.** ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

**რედ. ღვ. ს. მჭედლიძე**

გამართული ხელისმოწერა 1913 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

# „სახალხო გაზეთზე“

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა. ... ზეთს 1913 წელსაც ექნება **სურათებიანი დამატება.**

(კვირაობით)

**პრემიად** წლიური ხელის მომწერნი 1913 წლის განმავლობაში **მიიღე[ბენ]**

# ორ წიგნს:

1) უცხოეთის მწერლები. ზომით არა ნაკლები 400 გვ. დაურიგდება იანვრის დასასრულს.

2) ქართველი მწერლები. ზომით არა ნაკლებ 500 გვ. დაურიგდ[ება] ეკენისთვეში.

**გაზეთის ფასი**; როგორც თფილისში ისე, მის გარეთ დირს წელიწადში ისევ 8 მანეთ[ი] ერთი თვით 15 შაურათ.

გაზეთის ფასი თფილისში და მის გარეთ წლ. 8 მ. 10 შ. 11 თ. 8 მან., 10 თ, 7 მ., 10 თ. 6 მან. 5. შ., 8 თ. 6. მან., 7 თ. 5 შ., 5 თ. 3 მ. 5 შ., 4 თ. 3 მ. 3 თ. 2 მ. 2 თ. 1 მ. 10 შ. 1 თ. 15 შ. საზღვარგარეთ: წლ. 11 მ. 10 შ. 11 თ. 10 მ. 15 შ., 10 მ., 9 თ. 9 მ., 8 თ. 8 მ., 7 მ., 6 თ. 6 მ., 5 თ. 5., მ. 4 თ. 4 მ., 3 თ. 3 მ., 2 თ. 1 თ. 1 მ., ცალკე ნუმერ ყველგან შაურათ; დამატებიანი ნუმერი შვიდი კაპ. ადრესის გ[ამოცვლის] ფასი ქალაქიდან ქალაქ გარეთ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 2 აპ. ჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

გაზეთის გამოწერა დეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან. მხოლოდ სრული თვეები[თ]. **ხელისმოწერა გამართულია.** 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუ[ჩა] ჯიშვილის სამლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა, დილის 9 ს. საღ. 8 ს-დი უქმეებში 11 ს-დან 3 ს. 2) ქ. შორას წერა კითხ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მა[ღაზიაში] სასახლის ქ., თავად-აზნაურთა ქარვასლა. ფოშტით: Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо [Газети“] поч. ящ. 190.